

# რუისის ქარის ელექტროსადგურის პროექტი

ქვეყანა:	საქართველო
პროექტის ნომერი:	53307
ბიზნესის სექტორი:	ენერგეტიკა ევრაზია MEA
შეტყობინების ტიპი:	კერძო
გარემოს დაცვის კატეგორია:	A
სასურველი დამტკიცების თარიღი:	17 ივლისი 2024
სტატუსი:	კონცეპცია განხილულია
PSD-ის გაზიარების თარიღი:	14 ივლისი 2024

## პროექტის აღწერა

გრძელვადიანი A/B სესხის უზრუნველყოფა, მათ შორის, A ტიპის სესხი 119 მილიონ აშშ დოლარამდე, საქართველოში, გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში, 206 მგვტ დადგმული სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის განვითარების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის მიზნით (პროექტი). მსესხებელი იქნება საქართველოში დაარსებული სპეციალური დანიშნულების ერთეული სს „ვინდ ფაუერ“. პროექტის სპონსორის ფუნქციას შპს „ფერი“ შეასრულებს.

## პროექტის მიზნები

პროექტი ხელს უწყობს საქართველოს ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებას ადგილობრივი წარმოების სიმძლავრის მხარდაჭერით.

პროექტი წარმომადგენლობითი იქნება, კერძო ინვესტიციების მოზიდვის, ენერგომომარაგების დივერსიფიკაციისა და განახლებადი ენერგიის პოტენციალის გაზრდის თვალსაზრისით.

ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, მოსალოდნელია, რომ 206 მეგავატი განახლებადი ენერგიის ახალი სიმძლავრე ყოველწლიურად დამატებით მწვანე ელექტროენერგიას მიაწვდის ქსელში, რაც გამოიწვევს CO<sub>2</sub>-ის ემისიების შემცირებას. პროექტი კლასიფიცირებულია, როგორც 100%

GET.

## შუალედური შედეგი

ETI ქულა 60

პროექტი შეესაბამება ბანკის მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის (GET) მიდგომას და უზრუნველყოფს "მწვანე" გარდამავალ პროცესზე ზემოქმედებას, ასევე კლიმატის ცვლილების შერბილების მხრივ მნიშვნელოვან სარგებელს რუისის 206 მეგავატი სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის დაფინანსებით.

## ინფორმაცია კლიენტის შესახებ

WIND POWER JSC

სს "ვინდ ფაუერი" სააქციო საზოგადოებაა, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში პროექტის განხორციელების მიზნით.

შპს „პერი“ (Peri LLC) არის სამშენებლო კომპანია, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში, მოღვაწეობს ქვეყანაში 2006 წლიდან და განხორციელებული აქვს სხვადასხვა ელექტრომექანიკური სამშენებლო სამუშაოები საქართველოს მასშტაბით.

## EBRD-ის დაფინანსების ჯამი

119,000,000.00 აშშ დოლარი

## პროექტის მთლიანი ღირებულება

230,000,000.00 აშშ დოლარი

## გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების შეჯამება

მიენიჭა კატეგორია A (2019 ESP). პროექტს მიენიჭა კატეგორია A, რადგან ის გულისხმობს ქარის ელექტროენერგიის დიდი პროექტის (WPP) განვითარებას, რომელიც საქართველოში მასშტაბით პირველია და პროექტის ფიზიკური არეალი მოითხოვს სრულ და მონაწილეობით ESIA-ს განხორციელებას. პროექტისთვის განხორციელდა ადგილობრივ გზმ (ESIA) პროცესი ეროვნული ნებართვების მოსაპოვებლად და ESIA კვლევები EBRD-ის E&S მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ეს დოკუმენტები ერთად შეადგენენ პროექტის ESIA-ს, რაც მოიცავს - არატექნიკურ შეჯამებას (NTS), ESIA-ს ძირითად ნაწილს, ფრინველთა ფაუნის დამატებით კვლევას, მიწის შესყიდვისა და საარსებო წყაროს აღდგენის გეგმას (LALRP), დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმას (SEP) და გარემოს დაცვისა და სოციალურ სამოქმედო გეგმას (ESAP). ESIA გაზიარდა პროექტის კომპანიისა და EBRD-ის მიერ 2024 წლის 10 მაისს EBRD-ისა და დამოუკიდებელი კონსულტანტის მიმოხილვის შემდეგ. საჯარო შეხვედრები და SEP-ის განხორციელება მიმდინარეობს კონსულტაციების პერიოდში და დღემდე არ გამოვლენილა დაინტერესებული მხარეების მხრიდან რაიმე მნიშვნელოვანი შეშფოთება.

პროექტის ESIA-მ მოიცვა და შეაფასა ქარის ელექტროენერგიის პროექტების თანხმდები ტიპური ზემოქმედება, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ორნიტოლოგიურ ზემოქმედებას, კერძოდ, მაცხოვრებელ და გადამფრენ ფრინველებზე. საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არცერთ დაცულ ან სენსიტიური ბიომრავალფეროვნების ტერიტორიის სიახლოვეს და ზოგადად წარმოდგენილია როგორც დანიშნულება შეცვლილი სასოფლო-სამეურნეო მიწა. ძირითადი გადაფრენის გზები, რომლითაც საქართველო ცნობილია, არ ემთხვევა საპროექტო ტერიტორიებს, თუმცა, კვლევების შედეგების დასადასტურებლად, კონსულტაციები გაგრძელდება ბიომრავალფეროვნების საკითხებზე მომუშავე ძირითად ორგანიზაციებთან. ფრინველებთან დაკავშირებით ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა რამდენიმე ბინადარი ფრინველის არსებობა, თუმცა, საბაზისო მონაცემებმა და შეჯახების რისკის მოდელმა, რომელიც მომზადებულია კარგი პრაქტიკის შესაბამისად, დაადასტურა, რომ მოსალოდნელი ზემოქმედება ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტულ მახასიათებლებზე და/ან ჰაბიტატის კრიტიკულ გამოწვევ ფაქტორებზე, დაბალი იქნება და შემდგომი შერბილების ზომების საჭიროება არ არსებობს. მიუხედავად ამისა, მონიტორინგი გაგრძელდება მშენებლობის დაწყებამდე, მიმდინარეობისას და ასევე პროექტის საოპერაციო ფაზაში, ამ დასკვნების დასადასტურებლად. ESAP ვალდებულებას იღებს გამოიყენოს მოთხოვნით შეჩერების მექანიზმი, თუ გამოვლინდება დამატებითი ბიომრავალფეროვნების ფაქტორები ან დამატებითი ზემოქმედება EBRD-ის PR6-ის შესასრულებლად.

პროექტი შეიმუშავებს E&S მართვის შესაბამის სისტემას, რომელიც გავრცელდება პროექტის ყველა ფაზაზე და კონტრაქტორებზე. ეს მოიცავს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების დებულებებს თანამშრომლებისა და გარე პირებისთვის. პროექტს დასჭირდება საჭირო რესურსების მობილიზება ასეთი ღონისძიებების განსახორციელებლად და ESAP. სპონსორის შვილობილი კომპანიები ასევე იქნებიან პირველადი მოსამზადებელი სამუშაოების კონტრაქტორი და სამოქალაქო კონტრაქტორი, EPC-ის შეთანხმების გარეშე. პროექტის თანამშრომლების უმეტესობის დაქირავება, ქვეკონტრაქტორების ჩათვლით, მოხდება ადგილობრივად. ნაკადის პრობლემა არ არის გამოვლენილი და პროექტი შეასრულებს შესაბამის შრომით მოთხოვნებს, რომლებიც გამოიყენება ყველა თანამშრომელთან მიმართებით ეროვნული კანონმდებლობისა და EBRD-ის PR2-ის შესაბამისად, როგორც ეს აღწერილია პროექტის E&S მართვის გეგმასა და კონტრაქტორის მართვის გეგმებში. პროექტის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ზემოქმედება შესაბამის მიწის მესაკუთრეებსა და თემებზე, როგორიცაა შუქ-ჩრდილის თამაში, ვიზუალური ზემოქმედება, ზემოქმედება მიწის გამოყენებაზე და ჰაერის ხარისხზე მშენებლობის დროს, შეფასდა, როგორც შედარებით დაბალი რისკის პროფილის მქონე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით.

საპროექტო ტერიტორია დაყოფილი იყო მცირე ზომის მიწის მესაკუთრეებს შორის, რომლებიც იყენებდნენ ტერიტორიას დასამუშავებლად და მოსავლის მისაღებად. WTG საძირკვლის ნაკვალევი და მისასვლელი გზებისთვის მიწის შეძენა მოხდა მოლაპარაკებების საფუძველზე მიწის შესყიდვისა და საარსებო წყაროს აღდგენის გეგმის (LALRP) თანახმად, რომელიც ასევე გამოქვეყნებულია კარგი პრაქტიკის შესაბამისად, მოლაპარაკებების თანმიმდევრულობისა და პროცესის გამჭვირვალობისთვის.

შრომითი საკითხების კონსულტანტმა ჩაატარა შრომის შეფასება WTG მიმწოდებლის ორ ობიექტზე შრომის საფრთხეებისა და სამუშაო პირობების შესაფასებლად, ასევე შეფასდა WTG მიმწოდებლის მიწოდების ჯაჭვის მართვის პრაქტიკა. რისკის შეფასების შედეგები აჩვენებს, რომ WTG-ის მიმწოდებლის მიერ დანიშნული საწარმოო ობიექტები იყენებენ რობოტების დახმარებას თავიანთ ოპერაციებში და დასაქმებულ თანამშრომელთა უმრავლესობა

მაღალკვალიფიციურია. გარდა ამისა, მომწოდებელმა დანერგა მიწოდების ჯაჭვის მართვის სისტემა, რომელიც შედგება მომწოდებლების ქცევის კოდექსისგან, ყველა ძირითადი კონტრაქტორის და მომწოდებლის თვითშეფასებისგან, მომწოდებლების E&S აუდიტის ოქმებისგან და სპეციალიზებული E&S პერსონალისგან, რომელიც პასუხისმგებელია მიწოდების ჯაჭვის მართვაზე. მიწოდების ჯაჭვის პოტენციური რისკების სამართავად, კომპანია თავის HSSE მართვის სისტემაში შეიტანს მიდგომას და მოთხოვნებს პროექტის ძირითად მომწოდებლებთან დაკავშირებული პოტენციური რისკების მართვისა და მონიტორინგისთვის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს, რაც გათვალისწინებული იქნება WTG-ის მწარმოებლების მიწოდების ჯაჭვში. კომპანია თავის მომწოდებლებსა და კონტრაქტორებს მოსთხოვს, განახორციელონ მიმწოდებლის/გამყიდველი კომპანიების რისკის შეფასება და განიხილონ პოტენციური მიმწოდებლის/გამყიდველი კომპანიების შრომითი საკითხები და რისკები, მათ შორის, ბავშვთა შრომა, იძულებითი შრომა, მუშებისთვის ზიანის მიყენების რისკი და სხვა სამუშაო პირობები და ა.შ. მოთხოვნების სათანადოდ გადაცემისა და გარანტირების უზრუნველსაყოფად, პროექტთან ფინანსურ შეთანხმებაში და მომწოდებლებთან შესყიდვის დოკუმენტებში გათვალისწინებულია დებულებები, რომლებიც ეხება მიწოდების ჯაჭვის რისკის მართვას.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა გრძელდება კონსულტაციების პერიოდში და SEP პერიოდულად განახლდება. პროექტმა დაასრულა სხვადასხვა ჩართულობის აქტივობები, მათ შორის, საჯარო განხილვები. დღემდე ჩართულობამ დაადასტურა პროექტის მხარდაჭერა. ასევე საჭირო იქნება კონსულტაციების შესახებ განცხადების წარდგენა, საბჭოს შეხვედრამდე. არსებობს და შენარჩუნებული იქნება საჯარო საჩივრების მექანიზმი. EBRD მონიტორინგს გაუწევს პროექტს დამოუკიდებელ E&S კონსულტანტებთან ერთად, რომლებიც ანგარიშს ჩააბარებენ გამსესხებლებს.

## ტექნიკური თანამშრომლობა

არ იგეგმება.

## დამატებითი ფაქტორები

*დაფინანსების სტრუქტურა:* ბანკი დამატებით უზრუნველყოფს გრძელვადიან დაფინანსებას პირობებით, რაც არ არის ხელმისაწვდომი ადგილობრივ ბაზარზე.

*რისკის შერბილება:* სპონსორი ითხოვს EBRD-ის ჩართულობას პროექტში EBRD-ის მიერ ქვეყანაში ერთადერთი მოქმედი ქარის ელექტროსადგურის დაფინანსების გამოცდილების გათვალისწინებით და ასევე მსგავს პროექტებში მისი ჩართულობით სხვა CoO-ებში. ბანკის ჩართულობა უზრუნველყოფს მნიშვნელოვან კომფორტს და მხარდაჭერას სპონსორისთვის.

## კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

ზაზა ბაკურაძე

[info@windpower.ge](mailto:info@windpower.ge)

[www.windpower.ge](http://www.windpower.ge)

ზურაბ ავალიშვილის ქ. 12, 0179, თბილისი, საქართველო.

# გარდაქმნის ეფექტი

დეტალური ინფორმაციის გაცნობა **EBRD**-ის გარდაქმნის ეფექტის გაზომვასთან დაკავშირებულ მიდგომაზე შესაძლებელია [აქ](#).

## ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

**EBRD**-თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად (რაც არ უკავშირდება შესყიდვებს) დაუკავშირდით:

ტელ: **+44 20 7338 7168**

ელ. ფოსტა: [projectenquiries@ebrd.com](mailto:projectenquiries@ebrd.com)

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისთვის ეწვიეთ [EBRD Procurement](#).

ტელ.: **+44 20 7338 6794**

ელ. ფოსტა: [procurement@ebrd.com](mailto:procurement@ebrd.com)

## ზოგადი საკითხები

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია [EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის](#) საშუალებით.

## გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

[ESP](#)-ითა და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (**PR-ები**) განსაზღვრულია **EBRD**-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების“ მიდგომის განხორციელების გზები. **ESP** და **PR-ები** მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ, ასევე, შექმნან საჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხის წამოჭრის, საჩივრების მიღებისა და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, **EBRD** დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების

შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.

დეტალური ინფორმაცია **EBRD**-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია [ESP](#)-ში.

## ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

**EBRD**-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (**OCCO**) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში უმაღლესი სტანდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში ტარდება კომპლექსური ტექნიკური კვლევა იმისათვის, რომ პროექტებმა არ შექმნან პრინციპების დარღვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკი ბანკისათვის. ბანკი თვლის, რომ პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება პროექტის შეფასების ეტაპზე, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების მთლიანობის უზრუნველსაყოფად. **OCCO** გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.

**OCCO** ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიებაზე **EBRD**-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ნებისმიერმა ადამიანმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე [compliance@ebrd.com](mailto:compliance@ebrd.com). თითოეულ ასეთ შემთხვევაში, **OCCO** დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარიშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

## ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია **EBRD**-ის მიერ ინფორმაციის გაზიარებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. **EBRD**-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ [ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს](#).

კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია [EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით](#).



# პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)

თუ კლიენტთან, ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით, ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ **EBRD-ის** პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს (**IPAM**).

**IPAM** დამოუკიდებელად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში [გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკისა](#) და [ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის](#) კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.

გთხოვთ, ეწვიოთ [პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს](#), **IPAM-ისა** და მის მანდატის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, ასევე, იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა [წარადგინოთ მოთხოვნა](#) განსახილველად; ან დაუკავშირდით **IPAM-ს** ელ.ფოსტით [ipam@ebrd.com](mailto:ipam@ebrd.com), რომ მიიღოთ ინსტრუქცია და ინფორმაცია **IPAM-ისა** და მოთხოვნის გაგზავნის შესახებ.